ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ფონდი

„წმინდა ანდრიას ჯვარი“

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

23 მაისი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების, პრაქტიკული გა-ნხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ფონდი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალ-ურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- თეორიული და საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს უნივერსიტეტების პროფესორები და სასწავლო-შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ფონდი ,,წმინდა ანდრიას ჯვარის" მეცნიერ-თანამშრომლები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.
1.3. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, მასტერ-კლასებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს და სხვა შემოქმედებით პროექტებს.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების
ფონდი ,,წმინდა ანდრიას ჯვარის" დირექტორი — რ. ტაკიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია

245628496